სატელევიზიო არხების წინასაარჩევნო მონიტორინგი

15 მაისი-15 ივნისი 2013

2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით CRRC-მ განაახლა მედია მონიტორინგი ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის „პროფესიონალური მედია არჩევნებისთვის" ფარგლებში. მონიტორინგი გაგრძელდება 15 მაისიდან 15 ნოემბრამდე და მოიცავს საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე, აჭარის ტელევიზიაზე და შემდეგ კერძო არხებზე: რუსთავი 2, იმედი, მაესტრო, კავკასია და მეცხრე არხი. მოცემული ანგარიში მოიცავს მედია მონიტორინგის შედეგებს 15 მაისიდან 15 ივნისამდე.

ტელევიზიების საღამოს მთავარი საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ძირითადი მიგნებები:

- 15 მაისიდან 15 ივნისამდე პერიოდში ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების უმეტესობა ყველა არხის საინფორმაციო გამოშვებაში გაშუქდა. თუმცა, გამოვლინდა რამდენიმე შემთხვევა, როცა რომელიმე არხმა საღამოს გამოშვებაში არ გააშუქა საკმაოდ მნიშვნელოვანი ამბავი. მაგალითად, მეცხრე არხზე არ გავიდა სიუჟეტი ჯარისკაცების მოწამლვის შესახებ და არ გაშუქდა პრეზიდენტის განცხადება ავღანეთში ქართველი სამხედროების დაღუპვის შესახებ. ასეთი შერჩევა არხის ზოგად პოლიტიკასა და გარკვეულ ტენდენციურობას ასახავს.

- საზოგადოებრივი მაუწყებელი უმეტესწილად მიუკერძოებლად აშუქებდა მოვლენებს და მეტ-ნაკლებად ყველა აქტუალურ თემას ეხებოდა. მიუხედავად ამისა, უფრო ხშირი იყო მშრალ ფაქტებზე აგებული სიუჟეტები და მათში იშვიათად ისმოდა ჟურნალისტების მხრიდან კითხვა „რატომ“.
- კერძო არხებიდან მეცხრე არხზე, იმედსა და შედარებით ნაკლებად კავკასიაზე შეინიშნებოდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და პრეზიდენტის უარყოფითი გაშუქება. რუსთავი 2 კი მონტაჟისა და სიუჟეტის ზოგადი კონტექსტის შექმნის გზით, წინა ხელისუფლების წარმომადგენლებსა და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას დადებითად წარმოაჩენდა. ეს არხი ასევე გამოირჩეოდა პრემიერ მინისტრის უარყოფითი გაშუქებით.
- კერძო არხებს შორის მაესტროზე ყველაზე ნაკლებად შეინიშნებოდა რომელიმე მხარისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება. თუმცა, წინა ხელისუფლებისგან განსხვავებით, ახალი ხელისუფლების მიმართ კრიტიკა ნაკლებად იყო წარმოდგენილი.
- აჭარის ტელევიზიის საინფორმაციო გამოშვება ძირითადად აქცენტს რეგიონის ადგილობრივ მოვლენებზე აკეთებდა. თუმცა, რეგიონში არსებული პრობლემების გაშუქებისას უმეტესად დადებითად იყო წარმოჩენილი ადგილობრივი ხელისუფლება და ნაკლებად ისმოდა კრიტიკა მის მიმართ.
- ამ პერიოდში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 17 მაისის აქციები, რომლებიც ყველა არხზე გაშუქდა. სიუჟეტებში ძირითადი აქცენტი „კონტრაქციასა“ და მის მონაწილეებზე კეთდებოდა. ნაკლებად იყვნენ წარმოდგენილნი ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ მიმართული აქციის მონაწილეები, ტერმინები არ იყო კარგად განმარტებული და არასწორად იყო გამოყენებული. 17 მაისის მოვლენების გაშუქების ანალიზი იხილეთ ანგარიშის ბოლო ნაწილში.

მონიტორინგის პირველ თვეს დაემთხვა რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა, რამაც დიდი გამოხმაურება ჰპოვა მაუწყებლებში და გამოიწვია მონიტორინგისთვის საინტერესო თემების წამოწევა. მაგალითად: 17 მაისის აქციები, ვანო მერაბიშვილისა და ზურაბ ჭიაბერაშვილის დაკავება, ავღანეთში ქართველი სამხედროების დაღუპვა, უშიშროების საბჭოს სხდომა და ჯიჰადის ვიდეო რგოლი, რუსი მესაზღვრეების მიერ საოკუპაციო ხაზის გადმოწევა, ცვლილებები შრომის კოდექსში და განათლების სისტემაში.

აღნიშნული თემების განხილვისას ყველა არხზე გამოიკვეთა 5 ძირითადი სუბიექტი: ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, მთავრობა, კოალიცია ქართული ოცნება, პრეზიდენტი და პრემიერ მინისტრი, რომლებსაც ყველაზე მეტი დრო დაეთმო (გამონაკლისია აჭარის ტელევიზია, სადაც ყველაზე მეტი ყურადღება აჭარის ადგილობრივ ხელისუფლებას ექცეოდა). სხვა პოლიტიკური პარტიები კი საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში საკმაოდ იშვიათად შუქდებოდა - ამ პარტიებს თვის განმავლობაში თითოეულ არხზე 10 წუთზე ნაკლები დრო დაეთმო.

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი

მონიტორინგის პერიოდში საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი ქვეყანაში მიმდინარე თითქმის ყველა მნიშვნელოვან მოვლენას გამოეხმაურა 8-საათიან „მოამბეში“ და პოლიტიკურ თემებთან ერთად სოციალური თემატიკაც გააშუქა. მაგალითად, სიუჟეტი პანკისის სკოლებში ჩეჩნური ენის სწავლების მოთხოვნაზე მხოლოდ პირველ არხზე გაშუქდა. პირველი არხის საინფორმაციო გამოშვებაში რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ მიკერძოება ნაკლებად შეინიშნებოდა, რაც რაოდენობრივ მონაცემებშიც აისახა იმ მხრივ, რომ ძირითადი სუბიექტების მიმართ ნეიტრალური ტონი ჭარბობდა და დადებითი თუ უარყოფითი გაშუქების მაღალი მაჩვენებლები არ დაფიქსირებულა. ყველაზე მეტი უარყოფითი გაშუქება ერთიანი

ნაციონალური მოძრაობის მიმართ გამოიკვეთა, რაც გარკვეულწილად ვანო მერაბიშვილისა და ზურაბ ჭიაბერაშვილის დაკავებას შეიძლება, დავუკავშიროთ.



პირველ არხზე სიუჟეტებში შესამჩნევი იყო რამდენიმე მხარის თანაბრად წარმოდგენის მცდელობა. მიუხედავად ამისა, ინფორმაციის მოწოდებისას უფრო ხშირი იყო მშრალ ფაქტებზე აგებული სიუჟეტები და იგრძნობოდა ანალიზის ნაკლებობა.

აღსანიშნავია 13 ივნისს გასული სიუჟეტი ავღანეთში დაღუპული ქართველი სამხედროების დაკრძალვაზე. ეს თემა ყველა არხმა გააშუქა. თუმცა, პირველ არხზე თვალში საცემი იყო სიუჟეტისთვის შერჩეული ძალიან მძიმე კადრები, რაც კიდევ უფრო ამძიმებდა სიუჟეტის შინაარსს მითუმეტეს, რომ დამატებით ინფორმაციას არ გადმოსცემდა.

აჭარის ტელევიზია

აჭარის ტელევიზიის საინფორმაციო გამოშვებაში ძირითადი აქცენტი აჭარის რეგიონში მიმდინარე მოვლენებსა და აჭარის მთავრობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაზე კეთდებოდა. ქვეყნის მასშტაბით მნიშვნელოვანი ამბები, რაც სხვა არხებზე ახალი ამბების პირველ სამეულში ხვდებოდა, იშვიათად იყო წარმოდგენილი გადაცემის დასაწყისში. მონიტორინგის სუბიექტებიდან ოთხი სუბიექტი გაშუქდა ყველაზე მეტად: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, კოალიცია ქართული ოცნება, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და [ცენტრალური] მთავრობა.

საინტერესოა, რომ სხვა არხებისგან განსხვავებით, აჭარის ტელევიზიის საინფორმაციო გამოშვებაში მეტად გვხვდებოდა სუბიექტების დადებითი გაშუქება. მაგალითად, ადგილობრივ პრობლემებზე მომზადებულ სიუჟეტებში აქცენტი კეთდებოდა პრობლემების მოგვარებაზე და ადგილობრივი მთავრობის ჩართულობაზე ამ საკითხებში. ხშირად გადიოდა სიუჟეტები როგორც აჭარის, ისე ცენტრალური მთავრობის წარმომადგენლების შეხვედრებზე მოსახლეობასთან, სადაც უმეტესად მოსახლეობის კმაყოფილება და იმედიანი განწყობა იყო გადმოცემული. შესაბამისად, აჭარის მთავრობისა და ცენტრალურ მთავრობისთვის დათმობილი დროის 16 და 20 პროცენტი დადებითად იყო გაშუქებული, პრემიერ მინისტრის შემთხვევაში კი დადებითი გაშუქების წილმა 36 პროცენტი შეადგინა. ამავდროულად ნაკლებად ისმოდა კრიტიკა ხელისუფლების წარმომადგენლებისა და ადგილობრივი მთავრობის მიმართ. უარყოფითი გაშუქების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (მხოლოდ 10 პროცენტი) ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიმართ დაფიქსირდა.



კერძო ტელევიზიები

2013 წლის მონიტორინგის პირველი თვის შედეგებით (15 მაისი-15 ივნისი) საინფორმაციო გამოშვებებში წინასაარჩევნო დაძაბულობა არ შეინიშნებოდა. თუმცა, კერძო არხების ნაწილზე გამოკვეთილი იყო ტენდენციურობა ორი ძირითადი პოლიტიკური ძალიდან ერთ-ერთის მიმართ.

რუსთავი 2

მიუხედავად იმისა, რომ **რუსთავი 2**-ის საინფორმაციო გამოშვება 2012 წლის საარჩევნო მონიტორინგთან შედარებით გაუმჯობესდა, მეტად ინფორმაციული და ანალიტიკური გახდა, ვიდრე საპარლამენტო არჩევნების დროს და ნაკლებად იგრძნობოდა მიკერძოება ჟურნალისტის ტექსტებსა თუ კადრებში, არხის ტენდენციურობა ყოფილი ხელისუფლებისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის

სასარგებლოდ მაინც აშკარად გამოჩნდა, განსაკუთრებით თემების შერჩევისა და სიუჟეტების მონტაჟის დროს.

მაგალითად, 26 მაისის სიუჟეტში „სამხედრო დაჯილდოვება“, რომელიც პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ სამხედროების დაჯილდოვებას და ავღანეთში ვიზიტს ეხებოდა, დადებითი შთაბეჭდილება რჩებოდა პრეზიდენტზე. სრულად იყო გადმოცემული პრეზიდენტის ვრცელი სიტყვა და მთლიანობაში სიუჟეტი პრეზიდენტის პიარ-კამპანიას უფრო ჰგავდა, ვიდრე საინფორმაციო სიუჟეტს. საინტერესოა, რომ ნაჩვენები კადრები, სადაც პრეზიდენტი სადილის დროს სამხედროს ელაპარაკებოდა, დამონტაჟებული იყო და ის ნაწილი, რაც სხვა არხებმა პრეზიდენტის ირონიულად წარმოჩენისთვის გამოიყენეს, ამოჭრილი იყო.

რაოდენობრივ მონაცემებში რუსთავი 2-ზე დადებითი ტონის დიდი წილი არ გამოვლენილა არცერთი სუბიექტის მიმართ. თუმცა, აღსანიშნავია პრემიერმინისტრის უარყოფითი გაშუქების საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი - 21 პროცენტი.



იმედი

იმედის საინფორმაციო გამოშვება გამოეხმაურა ქვეყანაში განვითარებულ ყველა მთავარ მოვლენას. თუმცა, ხშირად გადიოდა ისეთი სიუჟეტებიც, რომლებიც იმ მომენტისთვის საზოგადოებისთვის საინტერესო ახალ ამბავს არ წარმოადგენდა. საინტერესოა, რომ მონიტორინგის სუბიექტების შესახებ იმედზე გასული სიუჟეტების დიდი ნაწილი ხაზს უსვამდა ქვეყანაში არსებულ პრობლემებს და ამ პრობლემებს უკავშირებდა ძველ ხელისუფლებას. ასევე განსაკუთრებით იყო აღნიშნული ის ცვლილებები, რაც ახალმა ხელისუფლებამ განახორციელა და გამოკვეთილი იყო კონტრასტი, რაც წინა ხელისუფლების უარყოფით და ახლის დადებით წარმოჩენას უწყობდა ხელს. მაგალითად, 9 ივნისის სიუჟეტში „ავღანეთში დაღუპული სამხედროები: ცხედრების სამშობლოში გადმოსვენების ცერემონია“ ჟურნალისტი ამბობს: „გარდაცვლილთა ვინაობასა და რაოდენობას ხელისუფლება ამჯერად არ ასაიდუმლოებს. ავღანეთში დაღუპული სახმედროების ფარულად დაკრძალვის ტრადიცია შეიცვალა. ყველასთვის ღია სამგლოვიარო ცერემონიაში ქვეყნის მთავარსარდალი და ოპოზიციაც მონაწილეობს.“

წინა ხელისუფლების ძაგების ტენდენცია გარკვეულწილად რაოდენობრივ მონაცემებშიც აისახა. ერთიანი ნაცინოალური მოძრაობა ის სუბიექტი იყო, რომელსაც ყველაზე მეტი დრო დაეთმო იმედის საღამოს „ქრონიკაში“ და აქედან 18 პროცენტი (უარყოფითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი) უარყოფითი ტონით გაშუქდა. აქვე, ამჟამინდელი ხელისუფლების კრიტიკა იმედზე ნაკლებად გვხვდებოდა.



კავკასია

კავკასიის საინფორმაციო გამოშვებაში მონიტორინგის პერიოდში რაოდენობრივ მონაცემებში შეინიშნებოდა უარყოფითი ტონი ყველა სუბიექტის მიმართ, რომლებსაც 29 წუთზე მეტი დრო დაეთმო (მთავრობა, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, პრეზიდენტი, პრემიერი). ამასთან, აღსანიშნავია, რომ დადებითი ტონით ყველაზე მეტად მთავრობა შუქდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ სიუჟეტების საერთო შთაბეჭდილება, ძირითადად ნეიტრალური იყო, თვალში საცემია პრეზიდენტის, ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და ყოფილი მთავრობის წევრების საკმაოდ უარყოფითი გაშუქება. ამასთან, შედარებით იშვიათი იყო სიუჟეტებში მათი პირდაპირი საუბარი. იყო შემთხვევები, როდესაც ჟურნალისტი საკუთარ ვარაუდს გამოთქვამდა რომელიმე სუბიექტის მიმართ, თანაც უარყოფით კონტექსტში, რომელსაც როგორც ფაქტს ისე აწვდიდა მაყურებელს. ეს ყველაფერი გარკვეულწილად ტენდენციურობაზე მიანიშნებს. კავკასიაზე, ასევე, ანალიტიკური სიუჟეტების ნაკლებობა შეინიშნებოდა. ამბები, ძირითადად, მშრალი ფაქტების გადმოცემით შემოიფარგლებოდა და მოკლებული იყო ანალიზს.



აღსანიშნავია 5 ივნისის საინფორმაციო გამოშვება, სადაც პირველივე სიუჟეტის დასაწყისში, სტუდიიდან, პირდაპირ ეთერში, კადრს მიღმა ისმოდა მამაკაცის გინება.

მაესტრო

მაესტროზე 15 მაისიდან 15 ივნისამდე პერიოდში სიუჟეტები უმეტესად დაბალანსებული იყო და განხილული თემის ირგვლივ შესაძლებელი იყო სხვადასხვა მხარისა და მოსაზრების მოსმენა. სიუჟეტები ხშირად ანალიტიკური იყო და მხოლოდ ფაქტების მშრალი გადმოცემით არ შემოიფარგლებოდა. რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების საფუძველზე შეიძლება აღინიშნოს, რომ მაესტროზე გაშუქებული ამბები ნაკლებად იყო ტენდენციური. თუმცა, გვხდება შემთხვევები, როდესაც სიუჟეტი დამძიმებული იყო უარყოფითი შინაარსის კადრებით ან ჟურნალისტის ტონი ცინიკური და ტენდენციური იყო. უარყოფითი ტონის ყველაზე მეტი წილი ერთიან ნაციონალურ მოძრაობას ჰქონდა - 12 პროცენტი. პრემიერ მინისტრს კი ყველაზე მეტი დადებითი - 17 პროცენტი.



2012 წლის საპარლამენტო არჩევნების პერიოდში მაესტრო კრიტიკულად უდგებოდა ხელისუფლების საქმიანობას და ამ კრიტიკას, რაც ზოგჯერ უარყოფითად წარმოაჩენდა მთავრობას, უმეტესად ჟურნალისტური სტანდარტების დარღვევის გარეშე ახერხებდა. 15 მაისიდან 15 ივნისამდე პერიოდში მაესტრომ შეინარჩუნა კრიტიკული მიდგომა ახლანდელი ხელისუფლების მიმართ. თუმცა, რაოდენობრივად ახალი ხელისუფლების პირობებში კრიტიკული სიუჟეტები შესამჩნევად შემცირდა.

მეცხრე არხი

რაოდენობრივ და თვისებრივ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ **მეცხრე არხი** საკმაოდ ტენდენციურად აშუქებდა სხვადასხვა პოლიტიკურ მხარეებს. ხშირად სიუჟეტები არ იყო დაბალანსებული ინფორმაციის სხვადასხვა მხრიდან წარმოჩენის მხრივ. რაოდენობრივი მონაცემების მიხედვით ერთიან ნაციონალურ მოძრაობას გაშუქების ყველაზე მაღალი უარყოფითი ტონის მაჩვენებელი ჰქონდა - 26

პროცენტი. ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებზე საუბრისას ჟურნალისტები ხშირად იყენებდნენ უარყოფით და დამცინავ ფრაზებს. ამასთან, ამ სუბიექტს ყველაზე ნაკლები დრო დაეთმო პირდაპირი საუბრისთვის. აღსანიშნავია, რომ მეცხრე არხი ერთადერთია დაკვირვების ქვეშ მყოფ 7 არხს შორის, სადაც დაფიქსირდა უარყოფითი ტონის ამხელა პროცენტული მაჩვენებელი რომელიმე სუბიექტის მიმართ.

მეორე მხრივ, სხვა სუბიექტებთან შედარებით მაღალი დადებითი პროცენტი ჰქონდა მთავრობასა და პრემიერ მინისტრს. სუბიექტი კოალიცია ქართული ოცნება კი პირდაპირი საუბრის მაღალი პროცენტული მაჩვენებლით გამოირჩეოდა.





მონიტორინგის პერიოდში მეცხრე არხის საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში რამდენიმე მნიშვნელოვანი ამბავი ყურადღების მიღმა დარჩა. არ გაშუქდა ჯარისკაცების მოწამვლასთან დაკავშირებული ინფორმაცია. ასევე, არ იყო ნაჩვენები პრეზიდენტის განცხადება ავღანეთში ქართველი ჯარისკაცების დაღუპვასთან დაკავშირებით, რაც სხვა არხებზე გაშუქდა.

მონიტორინგის პერიოდში გამოვლინდა რამდენიმე შეცდომა. ერთ-ერთი ასეთი შეცდომა გავიდა 6 ივნისის სიუჟეტში. ელისაბედ მეორის კორონაციის 60 წლისთავთან დაკავშირებულ მიღებაზე ამერიკის შეერთებული შტატებისა და ბრიტანეთის ელჩების ინტერვიუების თარგმანები იყო არეული: ბრიტანეთის ელჩს ამერიკის ელჩის თარგმანი ედო და პირიქით.

დასკვნა

2013 წლის წინასაარჩევნო მონიტორინგის პირველი თვის შედეგებით შეიძლება, ითქვას, რომ ტელევიზიები ჯერ საარჩევნო რეჟიმზე არ გადასულან. ნაკლებად კეთდება აქცენტი საპრეზიდენტო კანდიდატებზე. 15 მაისიდან 15 ივნისამდე პერიოდი დატვირთული იყო პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი მოვლენებით, რომლის დროსაც აქტიურად შუქდებოდნენ მონიტორინგის სუბიექტები. მონიტორინგის ქვეშ მყოფი სატელევიზიო არხები თავის მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში ძირითადად ყველა მნიშვნელოვან ამბავს აშუქებდნენ, მაგრამ იყო შემთხვევები, როცა რომელიმე არხი თავისი საინფორმაციო პოლიტიკის შესაბამისად, ამა თუ იმ ამბავს ყურადღების მიღმა ტოვებდა.

მიუხედავად იმისა, რომ მკვეთრი ტენდენციურობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ არ გამოვლენილა, რაშიც იგულისხმება როგორც რაოდენობრივად დროის დათმობა ან განსაკუთრებით დადებითი ან უარყოფითი გაშუქება, ასევე სიუჟეტების მონტაჟი, თემების შერჩევა, სიუჟეტებში წარმოდგენილი მოსაზრებების ბალანსი და ა.შ., მაინც შესამჩნევი იყო არხების პოლიტიკური მიკერძოება. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის, ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებისა და პრეზიდენტის უარყოფითი წარმოჩენით გამოირჩეოდნენ მეცხრე არხი, იმედი და შედარებით ნაკლებად, კავკასია. რუსთავი 2 ამ სუბიექტებს უფრო დადებითი კუთხით აშუქებდა. მაესტროზე და საზოგადოებრივ მაუწყებელზე ყველაზე ნაკლებად შეინიშნებოდა მიკერძოებულობა რომელიმე მხარის მიმართ. აჭარის ტელევიზიაზე ნაკლებად ისმოდა კრიტიკა და ძირითადად ადგილობრივი ხელისუფლება შუქდებოდა დადებითად.

17 მაისის აქცია ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ

(გაშუქება მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში 16, 17 და 18 მაისს)

მონიტორინგის პერიოდში (15 მაისი - 15 ივნისი) მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენებს შორის ერთ-ერთი იყო 17 მაისს განვითარებული მოვლენები: ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეს დაგეგმილი აქცია და ამ აქციის წინააღმდეგ მოწყობილი დემონსტრაცია. 16, 17 და 18 მაისს მონიტორინგის ქვეშ მყოფი შვიდივე ტელევიზიის მთავარმა საინფორმაციო გამოშვებამ 17 მაისის აქციებს რიგი სიუჟეტებისა მიუძღვნა.

ყველა არხზე საერთო ტენდენცია გამოიკვეთა: სიუჟეტებში ძირითადი აქცენტი „კონტრაქციასა“ და მის მონაწილეებზე კეთდებოდა. ნაკლებად იყვნენ წარმოდგენილნი ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ მიმართული აქციის მონაწილეები და კარგად არ იყო განმარტებული ტერმინები. გადაცემებში იყო შემთხვევები, როდესაც ჟურნალისტებმა გამოიყენეს შემდეგი ფრაზები: „სექსუალური უმცირესობების აქცია“ (16 მაისის საზოგადოებრივი მაუწყებლის საღამოს საინფორმაციო გამოშვების სიუჟეტი „17 მაისის აქცია“), „სექსუალური უმცირესობების მხრიდან დაგეგმილი აღლუმი“ (16 მაისის აჭარის ტელევიზიის საღამოს საინფორმაციო გამოშვება).

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი

საზოგადოებრივი მაუწყებლის საღამოს საინფორმაციო გამოშვებაში 16 მაისის სიუჟეტი „17 მაისის აქცია“ კარგად გადმოსცემდა მეორე დღეს დაგეგმილ აქციებს და მასზე არსებულ შეხედულებებს. სიუჟეტში ჟურნალისტმა დასაწყისშივე გამოიყენა ტერმინი „სექსუალური უმცირესობების აქცია“. თუმცა, სიუჟეტში წარმოდგენილი იყო სხვადასხვა მოსაზრება და მხარე, განმარტებული იყო ორივე აქციის მიზანი. აღნიშნულ სიუჟეტშივე არასამთავრობო ორგანიზაციის „იდენტობის“

წარმომადგენელი განმარტავდა, რომ ეს არ იყო „გეი აღლუმი“, არამედ ადამიანის უფლებების კუთხით წარმართული საპროტესტო აქცია.

პირველმა არხმა 17 მაისის საღამოს საინფორმაციო გამოშვებაში თითქმის მთელი გადაცემა გამართულ აქციებს მიუძღვნა. გამოშვებაში გაშუქებული იყო დღის განმავლობაში განვითარებული მოვლენები, აჩვენეს დაზარალებულები და მომხდართან დაკავშირებით პოლიტიკოსების, არასამთავრობო ორგანიზაციების, საპატრიარქოს, პრეზიდენტის, პრემიერ მინისტრისა და სხვების კომენტარები.

აჭარის ტელევიზია

აჭარის ტელევიზიამ 16 მაისს ორი სიუჟეტი მიუძღვნა 17 მაისს დაგეგმილ აქციებს. ამ სიუჟეტებიდან არცერთი არ იყო დაბალანსებული და არ იყო წარმოდგენილი ყველა მხარე. საინტერესოა, რომ ჟურნალისტმა გამოიყენა ასეთი ფრაზა - „სექსუალური უმცირესობების მხრიდან დაგეგმილი აღლუმი“, რაც არ ასახავდა რეალობას და მაყურებელი შეცდომაში შეჰყავდა. მეორე სიუჟეტში ძირითადი აქცენტი საპატრიარქოს განცხადებაზე გაკეთდა. ამასთან, არავინ იყო წარმოდგენილი ჰომოფობიის წინააღმდეგ მიმართული აქციის ორგანიზატორებიდან ან მხარდამჭერებიდან. შესაბამისად, მაყურებელს არ მიეწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა აქციები იგეგმებოდა 17 მაისს, ვინ მართავდა ამ აქციებს და რასთან დაკავშირებით.

შედარებით მეტად ინფორმაციული იყო 17 მაისის საღამოს მთავარი საინფორმაციო გამოშვება. პირველივე სიუჟეტში ქრონოლოგიურად იყო მოცემული რუსთაველის გამზირზე განვითარებული მოვლენები. თუმცა, სიუჟეტი არ იყო დაბალანსებული განსხვავებული მოსაზრებების თვალსაზრისით და არ იყო წარმოდგენილი ორი მხარე. 18 მაისს აჭარის ტელევიზიამ ორი სიუჟეტი მოამზადა ამ თემაზე: განხილული იყო 17 მაისის მოვლენების შეფასება, 18 მაისს კანცელარიასთან გამართული აქციები

და საერთაშორისო მედიის გამოხმაურება. გაშუქებული იყო 17 მაისის აქციებში მონაწილე ორივე მხარის პოზიციები და შეფასებები, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების კომენტარები. სიუჟეტები მაინც არ იყო სრულად დაბალანსებული, რადგან არ იყო წარმოდგენილი მთავრობის და პოლიტიკოსების პოზიცია.

კერძო არხები

16 მაისს მონიტორინგის ქვეშ მყოფმა ყველა კერძო არხმა თითო სიუჟეტი მაინც მიუძღვნა 17 მაისს დაგეგმილ აქციებს. განმარტებული იყო, რას ეძღვნებოდა აღნიშნული აქციები და თითქმის ყველგან წარმოდგენილნი იყვნენ როგორც აქციის მონაწილე მხარეები, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციები, უფლებადამცველები და პოლიტიკოსები.

17 მაისს რუსთავი 2-მა, იმედმა, მაესტრომ, კავკასიამ და მეცხრე არხმა საღამოს თითქმის მთლიანი საინფორმაციო გამოშვება დღის განმავლობაში განვითარებულ მოვლენებს მიუძღვნეს. გასულ სიუჟეტებში წარმოდგენილი იყო სხვადასხვა მოსაზრება და ნაჩვენები იყვნენ ორივე აქციის წარმომადგენლები. ასევე, აჩვენეს ქუთაისში გამართული აქციები ჰომოფობიის წინააღმდეგ, პოლიტიკოსების, მთავრობის, პრემიერ მინისტრის, პრეზიდენტის, არასამთავრობო ორგანიზაციების, საპატრიარქოს და სხვა რელიგიური კონფესიების, საერთაშორისო მედიის გამოხმაურება და შეფასებები.

17 მაისს რუსთავი 2-მა საღამოს საინფორმაციო გამოშვებაში 13 სიუჟეტი მიუძღვნა დღის განმავლობაში განვითრებულ მოვლენებს. სიუჟეტები სრულად აღწერდა მომხდარს, აწვდიდა მაყურებელს ინფორმაციას აქციების შესახებ გამოთქმულ შეფასებებსა და მოსაზრებებზე. განსხვავებული მხარეების წარმოდგენის თვალსაზრისითაც, შეიძლება ითქვას, რომ რუსთავის 2-ის გადაცემა დაბალანსებული იყო. თუმცა, შეიძლება გამოვყოთ გარკვეული შემთხვევები: პირველივე სიუჟეტში

„დაპირისპირება რუსთაველზე“ არ იყო დაფარული სასულიერო პირის მხრიდან წარმოთქმული უცენზურო სიტყვები.

ასევე, საინტერესოა რუსთავი 2-ს 17 მაისის სიუჟეტი „ხმაურიანი აქციები“, რომელიც ეხებოდა წარსულში გამართულ იმ აქციებს, რომლებშიც სასულიერო პირები მონაწილეობდნენ და რომლებიც დაპირისპირებაში გადაიზარდა. სიუჟეტში მხოლოდ ორი ასეთი აქცია იყო ნაჩვენები: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან გამართული აქცია და ტელეკომპანია კავკასიას ეთერში მომხდარი ინციდენტი. თუმცა, საბოლოო ჯამში მაყურებლისთვის ბოლომდე გასაგები არ იყო თუ რა სახით შეიძლებოდა მისი დაკავშირება 17 მაისს განვითარებულ მოვლენებთან. თავად სიუჟეტიდან ამგვარი კავშირი გარკვევით არ ჩანდა. მით უფრო, რომ სიუჟეტში საერთოდ არ იყო მოცემული ვინმეს კომენტარი და მთლიანად არქივიდან ამოღებულ კადრებს ეფუძნებოდა.

იმედი 17 მაისის საღამოს საინფორმაციო გამოშვებაში დღის განმავლობაში მომხდარ თითქმის ყველა თემას შეეხო და მთლიანობაში განვითარებულ მოვლენებს 13 სიუჟეტი მიუძღვნა. სიუჟეტები საკმაოდ დაბალანსებული იყო განსხვავებული მოსაზრებების თვალსაზრისით და წარმოდგენილი იყო სხვადასხვა პოზიცია.

მაესტროსა და კავკასიაზე 17 მაისის მოვლენების შესახებ საღამოს საინფორმაციო გამოშვებაში არ გამოვლენილა განსაკუთრებული შემთხვევები. გადაცემებში გაშუქდა დღის მნიშნველოვანი ამბები და მოცემული იყო სხვადასხვა მხარის წარმომადგენლების მოსაზრებები.

მეცხრე არხმა 17 მაისის მოვლენებს 7 სიუჟეტი მიუძღვნა, რომელთაგან ერთი პირდაპირი ჩართვა იყო ეკა ბესელიასა (კოალიცია ქართული ოცნება) და ელენე ხოშტარიასთან (საქართველოს რეფორმების ასოციაციის თავჯდომარე). აღსანიშნავია, რომ მეცხრე არხის პირველივე სიუჟეტში „აქცია აქციის წინააღმდეგ“ უშუალოდ ჰომოფობიის წინააღმდეგ მიმართული აქცია და მისი მონაწილეები იყო ნაჩვენები -

მათი შეკრება და კომენტარები. მონიტორინგის ქვეშ მყოფი სხვა არხებისგან განსხვავებით, ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როდესაც საღამოს საინფორმაციო გამოშვებაში ახლოდან ვნახეთ უშუალოდ ჰომოფობიის წინააღმდეგ გამართული აქცია. მთლიანობაში მეცხრე არხმა სრულად გააშუქა დღის განმავლობაში განვითარებული მოვლენები. ნაჩვენები იყო სხვადასხვა მხარე და განსხვავებული შეფასებები.

18 მაისს კერძო არხებმა საღამოს საინფორმაციო გამოშვებაში კვლავ დაუთმეს დრო წინა დღეს განვითარებულ მოვლენებს. ასევე, გაშუქდა 18 მაისს გამართული აქციები კანცელარიასთან, რომელთაგან ერთი 17 მაისს მომხდარ ძალადობას ეწინააღმდეგებოდა, ხოლო მეორე ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ გამართულ აქციას.